საქართველოში სამედიცინო(გამაჯანსაღებელი) ტურიზმის გეოგრეფიული თავისებურებანი

ნინო სიმონიშვილი

ელ-ფოსტა: nino.simonishvili166@ens.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოში სამედიცინო ტურიზმი ტრადიციული, მაგრამ სწრაფად განვითარებადი დარგია. უკანასკნელ წლებში მისი ზრდის ტემპები, ტურიზმის სხვა სეგმენტებს შორის, ყველაზე მაღალია. საქართველოს სამედიცინო (სამკურნალო) ტურიზმის მიმართულებით გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი და ტრადიციები. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად გარკვეული ცდებისა, დღემდე საქართველოში ვერ მოხერხდა სამედიცინო გეოგრაფიის განვითარება, რაც თეორიული თვალსაზრისით ინტეგრაციული გეოგრაფიის მიმართულებაში მოიაზრება. ამ მხრივ, სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება პირველ ნაბიჯად ჩაითვალოს, რაც წარმოაჩენს საქართველოში როგორც სამედიცინო დაწესებულებათა გეოგრაფიულ თავისებურებებს, ისე საქართველოს კურორტების გამაჯანსაღებელ პოტენციალს და პერსპექტივებს.

პროექტის მიზანია საქართველოში სამედიცინო (გამაჯანსაღებელი) ტურიზმის გეოგრაფიის, განვითარების პოტენციალის და პერსპექტივების შესწავლა. კვლევის მიზანთან დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. სამედიცინო გეოგრაფიის თეორიული საფუძვლების დამუშავება შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე;

2. საქართველოში სამედიცინო დაწესებულებათა პოტენციალის და გეოგრაფიული თავისებურებების ანალიზი;

2. საქართველოში კურორტების პროფილის პოტენციალის და განვითარების თავისებურებების შესწავლა;

3. საქართველოს ცალკეულ რეგიონში (თიანეთი) სამედიცინო (გამაჯანსაღებელი) ტურიზმის და გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა.

ამრიგად, სამეცნიერო თვალსაზრისით საქართველოში პირველად დამუშავდება სამედიცინო გეოგრაფიის თეორიული საფუძვლები; პირველად იქნება შესწავლილი საქართველოში სამედიცინო დაწესებულებათა პოტენციალი და გეოგრაფიული თავისებურებები; პირველად იქნება შესწავლილი საქართველოს ცალკეულ რეგიონში (თიანეთი) სამედიცინო (გამაჯანსაღებელი) ტურიზმის და გეოგრაფიული თავისებურებები.